პროექტის განმარტება

პროექტი № V V-48/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხებ ქ. თბილისში მ. კოსტავას ქ-ზე მდებარე ს/ჯ № 4350-სა და ს/ჯ № 4063-ს შორის მდებარე მ/ძ-ის (6კვ.) ამორტიზებული მიწისქვეშა ძალოვანი კაბელის შეცვლას.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 4350-დან შენობის ეზოში, ქუჩის ტროტუარზე, მ. კოსტავას ქ-ის გვერდულზე და ტროტუარზე, ს/ჯ № 4063-მდე არსებული ეზოს შესასვლელთან საყრდენი კედლის გასწვრივ აღებულ იქნას დეკორატიული ფილა ფრთხილად, და კაბელის ჩადების შემდეგ დაგებული იქნას იმავე ადგილზე მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY1(3*185RM/25)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს, პოზ. №1 და პოზ. №2-ს შორის დაიგოს დეკორატიული ფილა და ტროტუარის დანარჩენ ნაწილზე დაიგოს ასფალტი.

შ. ღამბაშიძის ქ-ის და მ. კოსტავას ჩიხის გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით – „კროტის" გამოყენებით.

საჭიროების შემთხვევაში ახალი ჩადებული კაბელი გადაიბას ერთმანეთზე ПСтО-3-10 150/240 (ან ანალოგი) შუალედური ქუროს საშუალებით.

ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ს/ჯ-ებში, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული კაბელის წვერები უჯრედებიდან და მათ ადგილზე შეერთდეს ახალი ჩადებული კაბელის წვერები.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.